

# როგორ არ გამოვიძუშავოთ ნარჩენები ?



Projekt współfinansowany ze środków Polsko-Amerykańskiej Fundacji Wolności w ramach programu RITA - Przemiany w regionie, realizowanego przez Fundację Edukacja dla Demokracji.



# გლობალური პრობლემა-პლასტიკისფერო



წყნარი ოკეანეს დიდი პლასტიკის ლაქა – „ნაგავსაყრელი“ წყნარი ოკეანეს ჩრდილოეთით

# პლასტიკით დაბინძურებული ზღვის პრობლემა



ყოველ წუთში ერთზე მღვებსა და ოკეანეებში იყრება **20** ტონაზე მეტი პლასტიკი


# მომავალში რა იქნება ოკეანეში მეტი პლასტიკი თუ თევზი?



ყოველ წელს ბევრსა და ოკეანეებში ხვდება დაახლ. 8 მილიონი ტონა პლასტიკი. თუ არ მივმართავთ  
ზომებს, **2050** წელს ოკეანეებში იქნება მეტი პლასტიკი, ვიდრე თევზი.

# ოკეანეების ყველაზე დიდი დამაბინძურებლები

**90% des Plastiks in den Meeren  
stammt aus diesen 10 Flüssen**




Rzeki z największą ilością plastiku

[www.swiatoze.pl](http://www.swiatoze.pl)

ოკეანეების ყველაზე დიდი  
დამაბინძურებლები არიან აზიის  
მდინარეები იანძი და ინდი. ყოველ  
წელს მათ დინებასთან ერთად  
ოკეანეში **900** ათასი ტონა პლასტიკი  
ჩაედინება

# პლასტიკი არის ყველგან




პლასტიკის მცირე ნაწილაკები საფარად ედება  
ლოდებს, როგორც წყალმცენარეები



ალპებიდან არქტიკამდე ვიწრობით პლასტიკში

# ვჭამთ პლასტიკს



ნარჩენები, რომელიც ჭარბად ჰქონდათ ნაჭამი ცხოველებს, გახდა მათი მოწამვლის, ინფექციის, ორგანიზმის დასუსტებისა და სიკვდილის მიზეზი.

# მიკროპლასტიკი არის საკვებშიც



2



3



4



5



naturalnie  
z pudełka

თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ მიკროპლასტიკს შეიცავს კოსმეტიკა და საკვები პროდუქტები.

# პლასტიკიდან მომდინარე ქიმია ბავშვების ორგანიზმში



კვლევები მიუთითებს, რომ აშკარაა კავშირი მოცემული ნივთიერების შემადგენლობიანი საკვები პროდუქტების მოხმარების მაგებასა და ადამიანის ორგანიზმში მისი რაოდენობის ზრდას შორის. პლასტიკი შეიძლება აღწევდეს ორგანიზმში სამზარეულოს ხელსაწყოების, წყალგაუმტარი ტანსაცმლის, საწმენდი საშუალებების საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებების და საკვების შეფუთვის მეშვეობით.

# ჩანთა ცელოფნის პარკის ნაცვლად



პოლიეთილენის პარკის  
დამზადებას სჭირდება  
ერთი წამი

მას **20** წუთის  
განმავლობაში ვიყენებთ

მის დაშლას სჭირდება  
**400** წელი



# ჩანთა პოლიეთილენის პარკის ნაცვლად



საყიდლებზე ჯობია საკუთარი,  
გამძლე ქსოვილისგან შეკერილი  
ჩანთით ვიაროთ.



# თუ პოლიეთილენი არა, მაშინ რა?



ხილი და ბოსტნეული ჯობია, ვიყიდოთ შეუფუთავი, ბაზარში ან დახლბე.



მრავალჯერადი გამოყენების ტომრები

# თუ პოლიეთილენი არა, მაშინ რა?



რეციკლირებული მასალისგან შეკერილი ცომრები



ბანანის ხის და ლოგოსის ფოთლები

# ბოთლის გარეშე



პლასტიკის ბოთლი – იშლება 100–დან  
1000–მდე წლის განმავლობაში.



მრავალჯერადი ბოთლი: ჯანსაღი,  
ეკოლოგიური, ეკონომიური და კომფორტული.

# ქილების აღორძინება



მეორადი ქილა – ვმლთ პროდუქტის იარლიყს და ქილა უკვე შესანიშნავად გამოიყურება



შეგიძლია ქილით სამსახურში სადილის წაღება.

# კიდევ უფრო ნაკლები პლასტიკი



პლასტიკის მოხმარების შემცირების გაცილებით მეტი ხერხი არსებობს. მაგალითად, თხევადი საპნის ნაცვლად გამოვიყენოთ ტრადიციული მკვრივი საპონი, კოსმეტიკური ბალიშები შეიძლება იყოს ბამბაბისი, ყავის კაფსულები კი ჩაფანაცვლოთ ყავის მარცვლებით


# ელემენტები - აზიანებს გარემოს



ტყეში გადაგდებულ ერთ ელემენტს შეუძლია დააბინძუროს 400 ლიტრი წყალი

სპეციალური ყუთები და ჩაბარების პუნქტები ელემენტებისთვის

# ელექტრო ნარჩენები ანუ ამორტიზებული ელექტრო მოწყობილობები




სარეცხის მანქანები, მაცივრები, ტელევიზორები, ტელეფონები, კომპიუტერები –  
ნაგავსაყრელზე მოხვედრის შემთხვევაში დეგრადირების დროს გამოყოფენ მავნებელ  
ნივთიერებებს.

# ბიომასა - საკომპოსტე ყუთი



კომპოსტის შეგროვებით ვამცირებთ ნარჩენების რაოდენობას.  
ყველაზე მარტივია საკომპოსტე სივრცის გამოყოფა და იქ ყუთის მოთავსება.


# ნარჩენების დაწვა საზიანოა



საოჯახო ღუმელში ნარჩენების დაწვის დროს გამოიყოფა მომწამლავი ნივთიერებები: მძიმე ლითონების ნაწილაკების შემცველი მტვერი, მომწამლავი ნახშირჟანგი, აზოტოვანი ოქსიდი, რომელიც იწვევს ფილტვების გაღიზიანებას და დაზიანებას. ბოლი შეიცავს გოგირდის დიოქსიდს, ქლორწყალბადს, ციანიტის წყალბადის მჟავას და კარცეროგენულ დიოქსინს.

# რომელი ქვეყანა გამოიმუშავებს ყველაზე მეტ ნარჩენებს?

**Municipal waste generated, 2017**  
(kg per capita)



Germany, Spain, France, Cyprus, Luxembourg, Poland and the European Union: estimated data  
Ireland: 2015 data  
Source: Eurostat (online data code env\_wasmun)

გამომუშავებული ნარჩენების რაოდენობა არ არის მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად ახდენს გავლენას მოცემული საზოგადოება გარემოზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნარჩენების გადამუშავების და რეციკლირების მაჩვენებელი. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ იმ საზოგადოებას, რომელიც **400** კგ ნარჩენებს გამოიმუშავებს ერთ სულ მოსახლეზე აქვს გაცილებით უფრო უარყოფითი გავლენა გარემოზე, ვიდრე იმ საზოგადოებას, რომელიც გამოიმუშავებს **800** კგ ნარჩენებს ერთ სულ მოსახლეზე.

# ქართველების მიერ ნარჩენების გამომუშავება

ბიოლის ფონდის მიერ შემუშავებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საშუალო სტატისტიკური ქართველი გამოიმუშავებს 100–დან 280–მდე კილოგრამ ნარჩენებს წელიწადში. წლიდან წლამდე იზრდება ნაგავსაყრელებზე გაგანილი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა (2015 წელს იყო დაახ. 700 000 ტონა, ხოლო 2017 წელს – 900 000–ზე მეტი ტონა). სტატისტიკურ ქართულ შინამეურნეობაში დიდი წილი უკავია ორგანულ ნარჩენებს (დაახ. 60%), მეორე ადგილზეა პლასტიკის ნარჩენები (დაახ. 16%).



# ნარჩენების დახარისხება

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს საქართველოში არ მოქმედებს რეგულაციები, წარმოგიდგენთ ევროკავშირში მოქმედ რეციკლირებისთვის განკუთვნილი ნარჩენების დახარისხების პრინციპებს.



შავი – შერეული ნარჩენები, ყვითელი – ლითონი და პლასტიკი, ცისფერი – ქაღალდი, მწვანე – შუშა.

# ნარჩენების შემცირება

REDUCE

REUSE

RECYCLE

გააზრებული მოხმარების და  
შესუიღვების სამი ძირითად

პრინციპი:


REDUCE - შეამცირე

REUSE – ხელახლა გამოიყენე

RECYCLE – გააკეთე

რეციკლირება





35 ცალი პოლიეთილენის ბოთლი საკმარისია იმისთვის, რომ დამზადდეს ერთი ცალი პოლარის ბლუზი. ბოთლებისგან მიღებული პოლიესტერის ბოჭკოსგან ასევე შესაძლებელია ზურგჩანთების, კარვების და ფეხსახმლის დამზადება.

# ევროკავშირი ებრძვის პლასტიკს




ბოლო მოელო ერთჯერად  
პლასტიკს.

პლასტიკის საწრუპები,  
ერთჯერადი ჭურჭელი, საკვები  
და სასმელი პროდუქტების  
პლასტიკის შეფუთვა,  
კონტეინერების ბოგიერთი  
სახეობა – სწორედ ეს  
პროდუქტები გაქრება  
ევროკავშირის მაღაზიების  
დახლებიდან ყველაზე გვიან 2021  
წლის 3 ივლისამდე.


# იცე რომ...?

მინის პროდუქტები 100%-ით ექვემდებარება რეციკლირებას. ყოველი მინის ბოთლი, რომელიც ხელახლა გადამუშავდება, იძლევა 100 ვატიანი ნათურის მუშაობისთვის საჭირო ენერჯის დაზოგვის საშუალებას



1 ტონა ქაღალდი უდრის 17 ხეს და 1200 ლიტრ წყალს. გაზეთების 125 მეტრის სიმაღლის სვეტის რეციკლირებით გადავარჩენთ ექვსმეტრიან ნაძვს.

# იცი რომ...?



1 ტონა ალუმინის წარმოებისათვის იხარჯება იმდენი ელექტროენერგია, რამდენსაც მოიხმარს 20 ოჯახი ერთი წლის განმავლობაში (მინის წარმოება მოითხოვს 14-ჯერ ნაკლებ ენერგიას).

ჩვენი პლანეტისთვის ყველაზე დიდი  
საშიშროებაა მოსაზრება, რომ ვინმე სხვა  
გადაარჩენს მას.

რობერტ სვან

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:

<https://spectri.org.ge>

<http://www.cenn.ge>

<https://ge.boell.org>

<http://bsea.ge>

# პრეზენტაციის მომზადებისთვის გამოყენებული რესურსები:

<https://www.eea.europa.eu/pl/sygna142y/sygnaly-2018/artykuly/ocean-plastiku>

<https://naukawpolsce.pap.pl/aktualnosci/news%2C78619%2Cbadanie-niepokoja-aca-ilosc-chemikaliow-z-plastiku-w-organizmach-dzieci.html>

<https://www.national-geographic.pl/artykul/50-krajow-rusza-do-walki-z-plastikiem-wielki-raport-onz-wnioski-pesymistyczne>

<https://www.4ocean.com>

<https://ziemianarozdrozu.pl/>

<https://smoglab.pl/>

<https://swiatoze.pl/>

<https://dolnoslaskialarmsmogowy.pl/>

<https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20190321IPR32111/parliament-seals-ban-on-throwaway-plastics-by-2021>

[https://ec.europa.eu/poland/news/190521\\_plastics\\_pl](https://ec.europa.eu/poland/news/190521_plastics_pl)



Region in Transition

პრეზენტაციაზე მუშაობდა: მაგდალენა ბერეზოვსკა,  
ეკოგანვითარების ფონდი

პრეზენტაცია საგანმანათლებლო პროგრამა  
"ნარჩენები" -ის ნაწილია:

- ნარჩენები – გლობალური პრობლემიდან ადგილობრივ პრობლემამდე
- როგორ დავგეგმოთ სოციალური კამპანია?
- მებაღეების საგანძური – რა სარგებლობა მოაქვს კომპოსტირებას?



მაჭახელას ეროვნული პარკი  
Machakhela National Park



More materials on  
[www.bsea.ge](http://www.bsea.ge)

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, პროგრამა „RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისათვის“.